კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ

გავრცელება: საყოველთაო

19 მაისი, 2014

შედგენილია: ინგლისურ ენაზე

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

CRPD/C/GC/1

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი

მეთერთმეტე სესია

31 მარტი–11 აპრილი 2014

ზოგადი კომენტარი №1 (2014)

მუხლი 12: სამართლის სუბიექტად აღიარება

I. შესავალი

1. კანონის წინაშე თანასწორობა ადამიანის უფლებათა დაცვის ძირითადი პრინციპია და აუცილებელია სხვა უფლებების დასაცავად. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ ითვალისწინებს კანონის წინაშე თანასწორობას. გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, კერძოდ, მისი მე-12 მუხლი აღწერს ამ სამოქალაქო უფლებას და აკონკრეტებს იმ ასპექტებს, რომლებზეც, როგორც წესი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებს ხელი არ მიუწვდებოდათ. მუხლი არ აწესებს დამატებით უფლებებს ამ პირებისთვის, მხოლოდ ყურადღებას ამახვილებს კონკრეტულ საკითხებზე, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ სახელმწიფოებმა, რათა უზრუნველყონ შშმ პირთა თანასწორობა კანონის წინაშე.

2. ამ მუხლის მნიშვნელობის გათვალისწინებით, კომიტეტმა ხელი შეუწყო ინტერაქციული ფორუმების შექმნას ქმედუნარიანობის საკითხებზე დისკუსიებისათვის. კომიტეტმა მე-12 მუხლის დებულებები განიხილა შემდეგ მხარეებთან ერთად: ექსპერტები; მონაწილე სახელმწიფოები; შშმ პირთა, არასამთავრობო და ხელშეკრულების მონიტორინგის ორგანოები; ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები და გაეროს სააგენტოები. შედეგად, მან მიიჩნია, რომ აუცილებელი იყო დამატებითი განმარტება და გზამკვლევის მომზადება ზოგადი კომენტარის სახით.

3. სხვადასხვა სახელმწიფოს თავდაპირველი ანგარიშების საფუძველზე, კომიტეტი მიიჩნევს, რომ ქვეყნებს არასწორად აქვთ გააზრებული მე-12 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების მნიშვნელობა. თითქმის ვერავინ გაიაზრა, რომ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული შეზღუდული შესაძლებლობის მოდელის მიხედვით, შშმ პირის ნაცვლად გადაწყვეტილების მიღება მესამე პირის მიერ (მისი ნების ჩანაცვლება) უნდა შეიცვალოს და გადაწყვეტილება მიიღოს უშუალოდ შშმ პირმა, მხარდამჭერის დახმარებით. ამ ზოგადი კომენტარის მიზანია ზოგადი

ვალდებულებების განხილვა, მე-12 მუხლით გათვალისწინებული სხვადასხვა კომპონენტიდან გამომდინარე.

4. ზოგადი კომენტარი მე-12 მუხლს განმარტავს კონვენციის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია კონვენციის მე-3 მუხლში, კერძოდ: „ადამიანის თანდაყოლილი პიროვნული ღირსების, მისი ინდივიდუალური ავტონომიის პატივისცემა, გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებისა და პიროვნების დამოუკიდებლობის ჩათვლით; დისკრიმინაციის დაუშვებლობა; სრულყოფილი ჩართვა და მონაწილეობა საზოგადოებაში; პატივისცემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსხვავებულობისადმი; მათი აღიარება ადამიანთა შორის არსებული განსხვავებულობის შემადგენელ ნაწილად; თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა; მისაწვდომობა; ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შესაძლებლობის განვითარებისა და ინდივიდუალობის შენარჩუნების უფლების პატივისცემა“.

5. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ აღნიშნავს, რომ სამართლის სუბიექტად აღიარების უფლება პირს აქვს „სადაც არ უნდა იმყოფებოდეს“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი არ ითვალისწინებს გარემოებას, როცა პირს შეიძლება ჩამოერთვას ან შეეზღუდოს სამართლის სუბიექტად აღიარების უფლება. ეს განმტკიცებულია საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, კერძოდ, 4 მუხლის მე-2 პუნქტით, რომელიც არ უშვებს ამ უფლების შეზღუდვას საგანგებო სიტუაციაშიც კი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია პირდაპირ არ კრძალავს სამართლის სუბიექტად აღიარების შეზღუდვას, თუმცა, საერთაშორისო პაქტის შესაბამისად, ეს აკრძალულია, კონვენციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი კი ამბობს, რომ ამ კონვენციის დებულებები არ ეწინააღმდეგება არსებულ საერთაშორისო სამართალს.

6. კანონის წინაშე თანასწორობას ასევე ითვალისწინებს საერთაშორისო და რეგიონული ხელშეკრულებები ადამიანის უფლებების შესახებ. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, კერძოდ, მისი მე-15 მუხლი, ადგენს ქალთა თანასწორობას კანონის წინაშე. იგი მოითხოვს ქალთა სამართალსუბიექტობის აღიარებას მამაკაცთა თანასწორად, მათ შორის, ისეთ პროცესებში, როგორიცაა: ხელშეკრულებების დადება, ქონების განკარგვა და მართლმსაჯულების სისტემაში უფლებების განხორციელება. ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის მე-3 მუხლი ითვალისწინებს კანონის წინაშე თანასწორ აღიარებას და თანაბარ დაცვას ყველასთვის. ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად კი იურიდიული სამართალსუბიექტობა/სამართლის სუბიექტად აღიარება გარანტირებულია თითოეული ადამიანისთვის.

7. სახელმწიფოებმა სრულად უნდა შეაფასონ სამართლის ყველა სფერო, რათა შშმ პირთა სამართალსუბიექტობა არ შეიზღუდოს სხვა პირებთან შედარებით. ისტორიულად, შშმ პირებს დისკრიმინაციულად ეზღუდებოდათ ეს უფლება, ვინაიდან მათ ნაცვლად სხვა პირები იღებდნენ გადაწყვეტილებას. ამას საფუძვლად ედო კანონმდებლობა მეურვეობის, ფინანსური მზრუნველობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მკურნალობას პირის ნების

საწინააღმდეგოდ. აუცილებელია ასეთი პრაქტიკის აღმოფხვრა, რათა შშმ პირებმა სამართალსუბიექტობით ისარგებლონ სხვა პირთა მსგავსად.

8. მე-12 მუხლი განამტკიცებს ყველა შშმ პირის სრულ ქმედუნარიანობას. კაცობრიობის ისტორიაში სამართალსუბიექტობა არ ენიჭებოდა ბევრ ჯგუფს, მათ შორის, ქალებს (განსაკუთრებით, დაქორწინების შემდეგ) და ეთნიკურ უმცირესობებს. თუმცა, შშმ პირები რჩებიან ჯგუფად, რომლის სამართალსუბიექტობაც კვლავ არ არის აღიარებული მსოფლიოს სამართლებრივ სისტემებში. სამართლის სუბიექტად აღიარება გულისხმობს ყველა პირის განუყოფელ უფლებას, იყოს სამართალსუბიექტი. ის ენიჭება დაბადებისას და მნიშვნელოვანია, ჰქონდეთ შშმ პირებსაც, განსაკუთრებით, როდესაც აუცილებელია გადაწყვეტილებების მიღება მათ ჯანმრთელობასთან, განათლებასა და დასაქმებასთან დაკავშირებით. იმის გამო, რომ სამართალსუბიექტობას არ ანიჭებენ, შშმ პირები ვერ ახერხებენ სარგებლობას ადამიანის სხვა ძირითადი უფლებებით, როგორიცაა ხმის მიცემა, ქორწინება და ოჯახის შექმნა, გამრავლება, მშობლის უფლება, სექსუალურ ურთიერთობაზე თანხმობის მიცემა და თავისუფლება.

9. სამართალსუბიექტობაზე უარის თქმა და გადაწყვეტილების მიღება სხვა პირის მიერ უარყოფითად აისახება ყველა შშმ პირზე, ფიზიკური, გონებრივი, ინტელექტუალური თუ სენსორული დარღვევების მიუხედავად. კოგნიტური და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებზე ასეთი სისტემა კვლავ არაპროპორციულ გავლენას ახდენს. კომიტეტის დასტურით, შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი ან შესაძლებლობის სხვადასხვა სახის შეზღუდვა (მათ შორის, ფიზიკური ან სენსორული) არ უნდა გახდეს საფუძველი, რომ პირს უარი ეთქვას სამართალსუბიექტობასა ან მე-12 მუხლით გარანტირებულ რომელიმე უფლებით სარგებლობაზე. ნებისმიერი პრაქტიკა, რომელიც წინასწარგანზრახვით ან ირიბად არღვევს მე-12 მუხლს, უნდა გაუქმდეს, რათა შშმ პირებს სამართალსუბიექტობა მიენიჭოთ სხვა პირთა თანასწორად.

10. წინამდებარე ზოგადი კომენტარი ყურადღებას ამახვილებს მე-12 მუხლის ნორმატიულ ასპექტსა და მისგან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებებზე. კომიტეტი განაგრძობს მუშაობას ამ სფეროში, რათა დამატებითი სიღრმისეული ინსტრუქციები წარმოადგინოს საკითხზე, დასკვნების, ზოგადი კომენტარებისა და სხვა დოკუმენტების სახით.

II. მე-12 მუხლის ნორმატიული შინაარსი

მუხლი 12 (1)

11. მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტი განამტკიცებს შშმ პირთა უფლებას სამართლის სუბიექტად აღიარებაზე. ეს პუნქტი ქმნის გარანტიას, რომ ყველა ადამიანს მიენიჭოს სამართალსუბიექტობა, როგორც პირის ქმედუნარიანობის წინაპირობა.

მუხლი12 (2)

12. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი აღიარებს შშმ პირთა ქმედუნარიანობას სხვების თანასწორად და ცხოვრების ყველა სფეროში. ქმედუნარიანობა გულისხმობს, რომ პირს აქვს უფლებები და, ამავე დროს, იგი სამართლის სუბიექტია.

ქმედუნარიანობა და მისგან გამომდინარე უფლებების მინიჭება გულისხმობს, რომ სამართლებრივ სისტემაში დაცულია პირის ყველა უფლება. ქმედუნარიანობა და სამართალსუბიექტობა აღიარებს პირის უფლებას, ჩაერთოს სხვადასხვა გარიგებაში და შექმნას, შეცვალოს ან დაასრულოს სამართლებრივი ურთიერთობა. სამართლის სუბიექტად აღიარების უფლება გათვალისწინებულია კონვენციის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტითაც. იგი ადგენს სახელმწიფოების ვალდებულებას, რომ „იღებენ ყველა შესაბამის და ეფექტიან ზომას, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლება საკუთრების ფლობასა და მემკვიდრეობით მიღებაზე, საკუთარი ფინანსური საქმეების მართვაზე, საბანკო სესხების, საიპოთეკო, სხვა ფინანსური კრედიტების თანაბარ მისაწვდომობაზე და უზრუნველყოფენ, რომ არ მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის საკუთრების თვითნებურად ჩამორთმევა.“

13. ქმედუნარიანობა და გონებრივი შესაძლებლობა განსხვავებული ცნებებია. სამართალსუბიექტობა ნიშნავს უფლებებისა და მოვალეობების ქონის (უფლებაუნარიანობის [1]) ან/და განხორციელების (ქმედუნარიანობა [2]) შესაძლებლობას. ეს მნიშვნელოვანი წინაპირობაა საზოგადოებრივ ცხოვრებაში სათანადო მონაწილეობისათვის. გონებრივი შესაძლებლობა გულისხმობს პირის უნარს, მიიღოს გადაწყვეტილება, რაც ადამიანებს განსხვავებულად აქვთ განვითარებული; ამასთან, იგი დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მათ შორის, გარემო და სოციალურ ფაქტორებზე. სამართლებრივი დოკუმენტები, როგორიცაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (მუხლი 6), საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მუხლი 16) და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია (მუხლი 15), არ მიჯნავს ქმედუნარიანობასა და გონებრივ შესაძლებლობას. კონვენციის მე-12 მუხლი ადგენს, რომ „გონებაჩლუნგობა“, გონებრივი შესაძლებლობის სავარაუდო შეზღუდვა და სხვა დისკრიმინაციული იარლიყები არ არის სამართალსუბიექტობისა და ქმედუნარიანობის შეზღუდვის კანონიერი საფუძველი.

14. სამართალსუბიექტობა ყველა ადამიანის, მათ შორის, შშმ პირის თანდაყოლილი უფლებაა და, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოიცავს 2 კომპონენტს: (1) უფლებების ქონა და კანონის მიერ სამართალსუბიექტად აღიარება (მათ შორის, დაბადების მოწმობის გაცემა, სამედიცინო დახმარების მიღება, რეგისტრაცია საარჩევნო უფლების განხორციელებისთვის და მიმართვა პასპორტის მისაღებად); (2) ამ უფლებებით სარგებლობა და აღნიშნული ქმედებების აღიარება კანონის მიერ. ხშირად სწორედ მე-2 კომპონენტს ვერ იყენებენ შშმ პირები. მაგალითად, კანონი შეიძლება ითვალისწინებდეს ქონების ფლობას შშმ პირის მიერ, მაგრამ ყოველთვის არ აღიარებდეს მის ქმედებას (მაგ.: ყიდვას ან გაყიდვას) ამ ქონებასთან დაკავშირებით. ქმედუნარიანობა ნიშნავს, რომ თითოეული ადამიანი, მათ შორის, შშმ პირი, ქმედუნარიანია მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანია. შესაბამისად, სამართალსუბიექტობის განხორციელებისთვის აუცილებელია მისი ორივე კომპონენტის აღიარება; არ შეიძლება მათი განცალკევება. ტერმინი *გონებრივი შესაძლებლობა* წინააღმდეგობრივია და, როგორც ხშირად აღნიშნავენ, არ არის ობიექტური, მეცნიერული და ბუნებრივი ფენომენი. გონებრივი შესაძლებლობა დამოკიდებულია სოციალურ და

[1] legal standing (ინგ.).
[2] legal agency (ინგ).

პოლიტიკურ კონტექსტზე; მისი შეფასებისას გადამწყვეტია დისციპლინები, პროფესიები და პრაქტიკაც.

15. მონაწილე სახელმწიფოთა ანგარიშების უმრავლესობაში, რომლებიც კომიტეტმა განიხილა, ქმედუნარიანობა და გონებრივი შესაძლებლობა დაკავშირებულია შემდეგნაირად: თუ მიიჩნევა, რომ პირს არ აქვს სათანადო გადაწყვეტილების მიღების უნარი კოგნიტური ან ფსიქოსოციალური შეზღუდვის გამო, მას ჩამოერთმევა აღნიშნული უფლება. ჩამორთმევის გადაწყვეტილება მიიღება: (1) შესაბამისი დიაგნოზის საფუძველზე (სტატუსზე ორიენტირებული მიდგომა); (2) როდესაც პირის გადაწყვეტილებას, სავარაუდოდ, უარყოფითი შედეგი მოჰყვება (შედეგზე ორიენტირებული მიდგომა); ან (3) პირის გადაწყვეტილების მიღების უნარი ნაკლოვანად მიიჩნევა (ფუნქციური მიდგომა). ფუნქციური მიდგომა აფასებს გონებრივ შესაძლებლობას (მაგ.: შეუძლია თუ არა პირს ინფორმაციის სათანადოდ გააზრება) და შესაბამისად ზღუდავს მის ქმედუნარიანობას. ეს მიდგომა ნაკლოვანია ორი ძირითადი მიზეზის გამო: (ა) შშმ პირების მიმართ გამოიყენება დისკრიმინაციულად; (ბ) უშვებს, რომ შესაძლებელია ადამიანის გონებრივი ფუნქციონირების ზუსტად შეფასება და, თუ იგი ვერ გაივლის შემოწმებას, ჩამოერთმევა ადამიანის ძირითადი უფლება - სამართლის სუბიექტად აღიარება სხვების თანასწორად. ყველა ამ მიდგომის თანახმად, პირის შეზღუდული შესაძლებლობა და/ან გადაწყვეტილების მიღების უნარი მიიჩნევა ქმედუნარიანობაზე უარის თქმის და სამართლის სუბიექტად თანასწორად აღიარების უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ საფუძვლად. მე-12 მუხლი კრძალავს ქმედუნარიანობის დისკრიმინაციულ შეზღუდვას და ითვალისწინებს, რომ შშმ პირს მხარი უნდა დაუჭირონ ამ უფლებით სარგებლობისას.

მუხლი12(3)

16. მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებას, „მიიღონ შესაბამისი ზომები შშმ პირთათვის იმ დახმარების მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რომელიც შეიძლება სჭირდებოდეთ ქმედუნარიანობის რეალიზებისათვის“. მონაწილე სახელმწიფოებმა არ უნდა შეუზღუდონ/ჩამოართვან შშმ პირებს ქმედუნარიანობა; ისინი ამ ადამიანებს უნდა დაეხმარონ სამართლებრივი შედეგის მქონე გადაწყვეტილებათა მიღებაში.

17. ქმედუნარიანობის განხორციელებაში დახმარებისას/მხარდაჭერისას სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ შშმ პირის უფლებებს, ნებასა და არჩევანს. ეს პროცესი არ გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას შშმ პირის ნაცვლად. მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი არ აზუსტებს მხარდაჭერის ფორმებს. „მხარდაჭერა“ ფართო ცნებაა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ტიპისა და ინტენსივობის არაფორმალურ და ფორმალურ ღონისძიებებს. მაგალითად, შშმ პირმა შეიძლება აირჩიოს ერთი ან მეტი სანდო მხარდამჭერი პირი, რომლებიც დაეხმარებიან ქმედუნარიანობის განხორციელებაში კონკრეტული ტიპის გადაწყვეტილებებთან მიმართებით; ასევე, მოითხოვოს მხარდაჭერის სხვა ფორმა (როგორიცაა ე.წ. „peer support“(თანასწორთამხარდაჭერა)), ადვოკატირება (მათ შორის, თვითადვოკატირება) ან კომუნიკაციაში დახმარება. შშმ პირების დახმარება ქმედუნარიანობით სარგებლობაში შეიძლება მოიცავდეს

უნივერსალურ დიზაინსა და მისაწვდომობასაც (მაგ.: მოთხოვნის დაწესება კერძო და საჯარო სექტორისთვის, როგორიცაა ბანკები და საფინანსო ინსტიტუტები, რომ ინფორმაცია მისაწვდომი იყოს სათანადო ფორმატით; ან ჰყავდეთ პროფესიონალი სურდოთარჯიმანი, რათა შშმ პირებმა შეძლონ სხვადასხვა სამართლებრივი მოქმედების განხორციელება: ბანკში ანგარიშის გახსნა, ხელშეკრულების გაფორმება ან სხვა სოციალური გარიგებების დადება). მხარდაჭერა შეიძლება იყოს კომუნიკაციის სხვადასხვა, მათ შორის, არატრადიციული მეთოდის შექმნა-აღიარებაც; ეს განსაკუთრებით საგულისხმოა მათთვის, ვინც ნებისა და არჩევანის გამოსახატავად იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმას. ბევრი შშმ პირისთვის მნიშვნელოვანი დახმარებაა, წინასწარ დაგეგმოს და გააცხადოს თავისი ნება და არჩევანი, რომელიც უნდა განხორციელდეს მაშინ, როცა, სავარაუდოდ, აღარ შეეძლება ამის გაკეთება. ყველა შშმ პირს აქვს უფლება, ჩაერთოს წინასწარ დაგეგმვაში სხვების თანასწორად. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ წინასწარი დაგეგმვის სხვადასხვა მექანიზმის შეთავაზება, რომლებიც ასახავს შშმ პირის არჩევანს და არადისკრიმინაციული იქნება. წინასწარ ნების გაცხადებასა და დაგეგმვაში პირს დახმარება უნდა გაეწიოს მისი სურვილის შემთხვევაში. ამასთან, თავად პირმა უნდა გადაწყვიტოს, როდის ამოქმედდება (ან შეწყვეტს მოქმედებას) აღნიშნული დოკუმენტი. ეს გადაწყვეტილება შესაბამისად უნდა აისახოს დოკუმენტში და არ ეფუძნებოდეს მოსაზრებას, რომ პირს არ აქვს სათანადო გონებრივი შესაძლებლობა.

18. შესაძლებლობის შეზღუდვა სხვადასხვაგვარია. შესაბამისად, განსხვავდება მხარდაჭერის ტიპი და ინტენსივობაც, პირის საჭიროებიდან გამომდინარე. ამას ითვალისწინებს კონვენციის 3(d) მუხლი, რომელიც კონვენციის ზოგად პრინციპად განსაზღვრავს დებულებებს: „პატივისცემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსხვავებულობისადმი“ და „მათი აღიარება ადამიანთა შორის არსებული განსხვავებულობის შემადგენელ ნაწილად“. ყოველთვის, მათ შორის, კრიზისულ სიტუაციაშიც, პატივი უნდა ვცეთ შშმ პირის ინდივიდუალურ ავტონომიას და გადაწყვეტილების მიღების უნარს.

19. ზოგიერთ შშმ პირს სურს თავისი ქმედუნარიანობის აღიარება სხვათა თანასწორად, როგორც ამას ითვალისწინებს კონვენციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი; შეიძლება პირს არ სურდეს მხარდაჭერის მიღება მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 12 (4)

20. მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ქმედუნარიანობის სისტემაში უნდა არსებობდეს დაცვის გარანტიებიც. მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი უნდა განიმარტოს ამ მუხლის სხვა პუნქტებისა და მთლიანად კონვენციის გათვალისწინებით. იგი ავალდებულებს სახელმწიფოებს, რომ შექმნან ქმედუნარიანობით სარგებლობის სათანადო და ეფექტიანი გარანტიები, რომელთა მთავარი მიზანი უნდა იყოს ადამიანის უფლებების, ნებისა და არჩევანის პატივისცემა. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია, რომ აღნიშნული გარანტიები სხვების თანასწორად ითვალისწინებდეს ბოროტად გამოყენებისგან დაცვას.

21. თუ შეუძლებელია პირის ნებისა და არჩევანის განსაზღვრა, მაშინ ორივე მათგანის საუკეთესო განმარტებამ უნდა ჩაანაცვლოს „საუკეთესო ინტერესების“

განსაზღვრა. ეს გულისხმობს პირის უფლებების, ნებისა და არჩევანის პატივისცემას, კონვენციის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად. სრულწლოვნებთან მიმართებით, „საუკეთესო ინტერესების“ პრინციპის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს მე-12 მუხლის შესაბამის გარანტიას. „ნებისა და არჩევანის“ პარადიგმამ უნდა ჩაანაცვლოს „საუკეთესო ინტერესების“ პარადიგმა, რათა შშმ პირებმა ქმედუნარიანობით ისარგებლონ სხვა პირთა მსგავსად.

22. შეიძლება ყველა ადამიანი დადგეს „უარყოფითი გავლენის“ რისკქვეშ; თუმცა ეს საფრთხე ბევრად დიდია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებისას დამოკიდებულნი არიან სხვების მხარდაჭერაზე. უარყოფით გავლენასთან გვაქვს საქმე, როდესაც მხარდამჭერ და მხარდაჭერის მიმღებ პირს შორის ურთიერთობას ახლავს შიშის, აგრესიის, საფრთხის, მოტყუების ან მანიპულირების ნიშნები. ქმედუნარიანობის გარანტიები ასევე უნდა ითვალისწინებდეს პირის დაცვას უარყოფითი გავლენისგან; თუმცა, დაცვისას პატივი უნდა ვცეთ პირის უფლებებს, ნებასა და არჩევანსაც, მათ შორის, რისკის აღებისა და შეცდომის დაშვების მხრივ.

მუხლი 12 (5)

23. მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, გაატარონ საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სასამართლო და სხვა პრაქტიკული ზომები შშმ პირთა ფინანსური და ეკონომიკური უფლებების უზრუნველსაყოფად (სხვათა თანასწორად). შეზღუდული შესაძლებლობის სამედიცინო მოდელით, როგორც წესი, შშმ პირებს ჩამორთმეული ჰქონდათ ფინანსებსა და ქონებაზე წვდომა. ასეთი მიდგომა უნდა ჩაანაცვლოს ქმედუნარიანობის განხორციელებისთვის საჭირო მხარდაჭერამ, რაც განსაზღვრულია მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით. შეზღუდული შესაძლებლობა, ისევე, როგორც გენდერი, არ შეიძლება იყოს დისკრიმინაციის საფუძველი ფინანსებსა და ქონებასთან მიმართებით.[1]

III. მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებები

24. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, პატივი სცენ, დაიცვან და უზრუნველყონ ყველა შშმ პირის სამართლსუბიექტად აღიარების უფლება. შესაბამისად, მათ არ უნდა განახორციელონ ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ამ უფლების შეზღუდვა. გატარებული ღონისძიებებით, სახელმწიფოებმა თავიდან უნდა აიცილონ არასახელმწიფო აქტორებისა და კერძო პირების ისეთი მოქმედებები, რომლებმაც შეიძლება შეზღუდოს შშმ პირის სარგებლობა საკუთარი უფლებებით, მათ შორის, სამართალსუბიექტად აღიარებით. ქმედუნარიანობაში დახმარების ერთ-ერთი მიზანია შშმ პირის თვითრწმენისა და შესაძლებლობის გაძლიერება, რათა მომავალში, თუ სურვილი ექნება, ნაკლები დახმარებით შეძლოს ამ უფლებით სარგებლობა. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, ტრენინგები ჩაუტარონ მხარდამჭერებს, რათა მათ განსაზღვრონ, როდის

[1] იხ: კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მუხლი 13(b).

ესაჭიროება პირს ნაკლები მხარდაჭერა და როდის აღარ არის ის აუცილებელი ქმედუნარიანობის განხორციელებისათვის.

25. „უნივერსალური ქმედუნარიანობის“ (როდესაც ყველა ადამიანს, შესაძლებლობის შეზღუდვის ან გადაწყვეტილების მიღების უნარის მიუხედავად, დაბადებით აქვს მინიჭებული ქმედუნარიანობა) სრულად აღიარებისთვის, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გააუქმონ მისი ჩამორთმევის პროცედურა, რომელიც პირდაპირ ან შედეგობრივად დისკრიმინაციულია, ვინაიდან მას საფუძვლად უდევს შესაძლებლობის შეზღუდვა.[1]

26. მონაწილე სახელმწიფოთა პირველად ანგარიშებზე მომზადებულ დასკვნაში მე-12 მუხლთან დაკავშირებით შშმ პირთა უფლებების კომიტეტმა არაერთხელ აღნიშნა, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა „გადახედონ კანონებს მეურვეობისა და მზრუნველობის შესახებ და გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები. ახალი კანონებისა და პოლიტიკის მიხედვით, შშმ პირის ნაცვლად გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკა მათ უნდა ჩაანაცვლონ პროცედურებით, რომლებიც გულისხმობს შშმ პირის მხარდაჭერას გადაწყვეტილების მიღებისას და პატივს სცემს პირის ავტონომიურობას, ნებასა და არჩევანს.“

27. შშმ პირის ნაცვლად გადაწყვეტილების მიღების სისტემა შეიძლება მოქმედებდეს სხვადასხვა ფორმით (მაგ.: პლენარული მეურვეობა, სასამართლო აკრძალვა და ნაწილობრივი მეურვეობა). თუმცა ყველა მათგანს აქვს საერთო მახასიათებლები: ისინი შეიძლება განვმარტოთ, როგორც სისტემები, სადაც: (i) პირს ჩამორთმეული აქვს ქმედუნარიანობა, თუნდაც ერთ გადაწყვეტილებასთან მიმართებით; (ii) მესამე პირი გადაწყვეტილებას იღებს შშმ პირის ნების ჩანაცვლებით, შესაძლოა, მისი ნების საწინააღმდეგოდაც კი; (iii) გადაწყვეტილების მიმღები პირი შშმ პირის „საუკეთესო ინტერესებზე“ გადაწყვეტილებას იღებს თავისი შეხედულებისამებრ, და არა თავად ამ პირის ნებისა და არჩევანის გათვალისწინებით.

28. მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულება, გადაწყვეტილების მიღების ეს ერთი სისტემა ჩაანაცვლოს მეორით, გულისხმობს, რომ მათ უნდა გააუქმონ სხვის მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა და შექმნან შშმ პირის მხარდაჭერის ალტერნატივები. თუ ასეთი ალტერნატივებს ფონზე კვლავ არსებობს შშმ პირის ნების ჩანაცვლების სისტემა, მაშინ სახელმწიფო ვერ ასრულებს კონვენციის მე-12 მუხლით დადგენილ სტანდარტს.

29. მხარდაჭერით გადაწყვეტილების მიღების სისტემა შედგება რამდენიმე სახის მხარდაჭერისგან, რომლებიც უპირატესობას ანიჭებს პირის ნებას და არჩევანს და პატივს სცემს ადამიანის უფლებებს. იგი უნდა იცავდეს ადამიანის ყველა უფლებას, მათ შორის, როგორიცაა ავტონომია (ქმედუნარიანობა, სამართლის სუბიექტად აღიარება, საცხოვრებლის არჩევა და ა.შ.) და ძალადობისა თუ არასათანადო მოპყრობისგან დაცვა (სიცოცხლის უფლება, ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება და ა.შ).

[1] იხ. კონვენციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, მუხლი 2, მე-5 მუხლთან ერთად.

გარდა ამისა, მხარდაჭერით გადაწყვეტილების მიღების სისტემები ძალიან დეტალურად არ უნდა არეგულირებდეს შშმ პირის ცხოვრებას. სისტემა შეიძლება სხვადასხვა ფორმით ჩამოყალიბდეს, თუმცა ყველა მათგანი უნდა ეყრდნობოდეს ძირითად დებულებებს კონვენციის მე-12 მუხლთან შესაბამისობისათვის, კერძოდ:

(a) მხარდაჭერით გადაწყვეტილების მიღების სისტემაზე ხელი უნდა მიუწვდებოდეს ყველას. პირისთვის აუცილებელი მხარდაჭერის საჭიროება, განსაკუთრებით, თუ იგი მაღალია, არ უნდა გადაიქცეს აუცილებელი მხარდაჭერის მიღებისთვის ბარიერად;

(b) ქმედუნარიანობის განსახორციელებლად, დახმარების ყველა ფორმა, მათ შორის, ინტენსიურიც, უნდა ეფუძნებოდეს პირის ნებასა და არჩევანს და არა მის საუკეთესო ინტერესებს, განსაზღვრულს სხვების შეხედულებით;

(c) მხარდაჭერით გადაწყვეტილების მიღებისთვის დაბრკოლებად არ უნდა იქცეს პირის კომუნიკაციის ფორმა, თუნდაც არატრადიციული ან მხოლოდ ძალიან ცოტა ადამიანისთვის გასაგები;

(d) შშმ პირის მიერ არჩეული მხარდამჭერი პირი სამართლებრივად აღიარებული უნდა იყოს; სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, ხელი შეუწყონ მხარდაჭერის დანერგვას, განსაკუთრებით, თუ პირი იზოლირებულია და არ შეუძლია საზოგადოებაში ბუნებრივად არსებული მხარდაჭერის მიღება. აღიარება უნდა მოიცავდეს მექანიზმებს, რომლებითაც მესამე პირებს შეეძლებათ მხარდამჭერი პირის იდენტიფიცირება, ასევე, მისი ქმედების გასაჩივრება, თუკი მიიჩნევენ, რომ არ მოქმედებს შშმ პირის ნებისა და არჩევანის შესაბამისად;

(e) სახელმწიფოთა ვალდებულების შესასრულებლად, რომელიც გათავლისწინებულია მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით და გულისხმობს მხარდაჭერის სისტემის „მისაწვდომობას ყველასთვის“, დახმარების საფასური უნდა იყოს მინიმალური, ან სრულიად უფასოდ მიეწოდოთ შშმ პირებს. ფინანსური სიდუხჭირე არ უნდა იქცეს დამაბრკოლებელ გარემოებად ქმედუნარიანობისთვის აუცილებელი მხარდაჭერის მისაღებად;

(f) მხარდაჭერით გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში არ უნდა შეიზღუდოს შშმ პირთა სხვა ძირითადი უფლებები, როგორიცაა, ხმის მიცემა, ქორწინება ან სამოქალაქო კავშირის დამყარება, ოჯახის შექმნა, გამრავლება, მშობლის უფლებები, ინტიმურ ურთიერთობასა და მკურნალობაზე თანხმობის მიცემა და თავისუფლება;

(g) პირს უნდა შეეძლოს უარის თქმა მხარდაჭერის მიღებაზე და მხარდამჭერ პირთან ურთიერთობის შეწყვეტა ან შეცვლა ნებისმიერ დროს;

(h) გარანტიები უნდა არსებობდეს ქმედუნარიანობასთან დაკავშირებული ყველა პროცესისთვის, მათ შორის, აუცილებელი მხარდაჭერისთვისაც. გარანტიების მიზანი უნდა იყოს პირის ნებისა და არჩევანის პატივისცემა.

(i) ქმედუნარიანობით სარგებლობისთვის აუცილებელი მხარდაჭერის დანიშვნა არ უნდა უკავშირდებოდეს მხოლოდ გონებრივი შესაძლებლობის შეფასებას: ამისათვის აუცილებელია ახალი, არადისკრიმინაციული ინდიკატორების შემუშავებაც.

30. უკვე დიდი ხანია, რაც კანონის წინაშე თანასწორობა მიიჩნევა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებად, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის საფუძველზე. აღნიშნული უფლებები გამოიყენება დოკუმენტის რატიფიცირებიდან და მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები მათ განსახორციელებლად. ეს შეეხება მე-12 მუხლით გათვალისწინებული უფლებებსაც. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სახელმწიფოს ვალდებულება, ქმედუნარიანობისთვის აუცილებელ მხარდაჭერაზე ხელი მიუწვდებოდეს ყველას, უკავშირდება სამართლის სუბიექტად თანასწორად აღიარების სამოქალაქო და პოლიტიკური უფლების განხორციელებას. „პროგრესული განხორციელება“ (მუხლი 4, პუნქტი 2) არ გამოიყენება მე-12 მუხლის მიმართ. კონვენციის რატიფიცირებისას, მონაწილე სახელმწიფოებმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ზომები მე-12 მუხლით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებისათვის. ეს ზომები უნდა იყოს გააზრებული, კარგად დაგეგმილი და მოიცავდეს კონსულტაციებს შშმ პირებსა და მათ ორგანიზაციებთან, ასევე, მათ რეალურ ჩართულობას.

IV. კონვენციის სხვა დებულებებთან მიმართება

30. ქმედუნარიანობის აღიარება მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის უფლებებს, რომლებიც განსაზღვრულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციით, კერძოდ: მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა (მუხლი 13); ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ნების საწინააღმდეგოდ დაკავებისა და არანებაყოფლობითი მკურნალობისგან დაცვა (მუხლი 14); ფიზიკური და მენტალური ხელშეუხებლობის დაცვა (მუხლი 17); გადაადგილების თავისუფლება და მოქალაქეობა (მუხლი 18); საცხოვრებლისა და იმ პირის შერჩევა, ვისთანაც სურს ცხოვრება (მუხლი 19); გამოხატვის თავისუფლება (მუხლი 21); ქორწინება და ოჯახის შექმნა (მუხლი 23); სამედიცინო მკურნალობაზე თანხმობის გაცხადება (მუხლი 25); აქტიური და პასიური მონაწილეობა არჩევნებში (მუხლი 29). სამართლის სუბიექტად აღიარების გარეშე, თითქმის შეუძლებელი იქნებოდა ამ უფლებების (ისევე, როგორც კონვენციით გათვალისწინებული ბევრი სხვა უფლების) მოთხოვნა, უზრუნველყოფა და აღსრულება.

მუხლი 5: თანასწორუფლებიანობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა

32. სამართლის სუბიექტად თანასწორი აღიარებისთვის, აუცილებელია, უარი პირს არ ეთქვას ქმედუნარიანობაზე დისკრიმინაციული საფუძვლით. კონვენციის მე-5 მუხლია გარანტი, რომ ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და სარგებლობს თანაბარი დაცვით. იგი კრძალავს დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის საფუძვლით. მე-2 მუხლის თანახმად, დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე „გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებულ ნებისმიერ განსხვავებას, გარიყვას ან აკრძალვას, რომლის მიზანს ან შედეგს წარმოადგენს აღიარების, თანაბარი უფლებებისა და პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო და ნებისმიერ სხვა სფეროში მათ მიერ ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზების მინიმუმამდე დაყვანა ან სრული უარყოფა.“ ქმედუნარიანობაზე უარი, რომლის მიზანი ან შედეგია ჩარევა შშმ პირის

სამართლის სუბიექტად აღიარებაში, არღვევს კონვენციის მე-5 და მე-12 მუხლებს. სახელმწიფოებს აქვთ შესაძლებლობა, შეზღუდონ ქმედუნარიანობა სხვადასხვა გარემოების საფუძველზე, როგორიცაა ვალაუვალობა ან სასამართლო გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეზე. თუმცა, სამართლის სუბიექტად თანასწორი აღიარებისა და დისკრიმინაციისგან დაცვის უფლება მოითხოვს, რომ, თუ სახელმწიფო ზღუდავს ქმედუნარიანობას, მაშინ ეს გააკეთოს ყველა პირის მიმართ ერთნაირი საფუძვლით. ქმედუნარიანობის შეზღუდვა არ უნდა ეფუძნებოდეს პიროვნულ მახასიათებლებს, როგორიცაა გენდერი, რასა ან შეზღუდული შესაძლებლობა, და მიზნად არ ისახავდეს განსხვავებული რეჟიმის დაწესებას პირის მიმართ.

33. ქმედუნარიანობის აღიარება დისკრიმინაციის გარეშე აღადგენს პირის ავტონომიას და პატივს სცემს ადამიანის ღირსებას კონვენციის 3(a) მუხლით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად. გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლება ხშირად მოითხოვს პირის ქმედუნარიანობას. დამოუკიდებლობა და ავტონომია გულისხმობს პირის გადაწყვეტილებათა სამართლებრივ აღიარებას. გადაწყვეტილებების მიღებისას მხარდაჭერის ან გონივრული მისადაგების საჭიროება არ უნდა გამოიყენონ პირის ქმედუნარიანობის ეჭვქვეშ დასაყენებლად. განსხვავებულობისადმი პატივისცემა და შშმ პირების აღიარება ადამიანთა შორის განსხვავებულობის შემადგენელ ნაწილად (მუხლი 3(d)) არ შეესაბამება ქმედუნარიანობის მინიჭებას ასიმილაციური საფუძვლით.

34. დისკრიმინაციის აკრძალვა მოიცავს გონივრულ მისადაგებას ქმედუნარიანობის განხორციელებისას (მუხლი 5, პუნქტი 3). კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად, გონივრული მისადაგება „გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელებას, რაც არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და თავისუფლების ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზებას“. ქმედუნარიანობით სარგებლობისას გონივრული მისადაგება განსხვავდება და ავსებს ამ დროს საჭირო მხარდაჭერას. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, განახორციელონ ყველა საჭირო ცვლილება, რათა შშმ პირებმა შეძლონ ქმედუნარიანობით სარგებლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცვლილება არაპროპორციული ან გაუმართლებელი ტვირთია მათთვის. ასეთი ცვლილებების/გარემოებებზე მორგების მაგალითებია: წვდომა ძირითად შენობებზე, როგორიცაა სასამართლო, ბანკები, სოციალური დახმარების ოფისები და ხმის მიცემის უბნები; სამართლებრივი შედეგის მქონე გადაწყვეტილებებზე ინფორმაციის მისაწვდომობა; და პერსონალური ასისტენტი. მხარდაჭერის მოთხოვნაზე უარის თქმა არ შეიძლება არაპროპორციულობის ან გაუმართლებელი ტვირთის საფუძველზე. სახელმწიფოს აკისრია აბსოლუტური ვალდებულება, რომ შშმ პირს დაეხმაროს ქმედუნარიანობით სარგებლობაში.

მუხლი 6: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები

35. კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კერძოდ, მისი მე-15 მუხლი, ქალებს მამაკაცთა თანაბრად ანიჭებს ქმედუნარიანობას; ეს მუხლი ასევე აღიარებს, რომ ქმედუნარიანობა პირის სამართლის სუბიექტად აღიარების შემადგენელი ნაწილია: „მონაწილე

სახელმწიფოები ქალებს ანიჭებენ მამაკაცებთან თანაბარ სამოქალაქო ქმედუნარიანობას და მისი განხორციელების თანაბარ შესაძლებლობებს. კერძოდ, სახელმწიფოები მათთვის უზრუნველყოფენ თანაბარ უფლებებს ხელშეკრულების დადებისას და ქონების მართვის საკითხში, აგრეთვე თანაბარ დამოკიდებულებას მათდამი სასამართლოებსა და ტრიბუნალებში საქმის გარჩევის ყველა ეტაპზე“ (პუნქტი 2). ეს პუნქტი გამოიყენება ყველა ქალის, მათ შორის, შშმ ქალების მიმართ. კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ აღიარებს, რომ შშმ ქალები შეიძლება გახდნენ მრავალჯერადი და ინტერსექციური დისკრიმინაციის მსხვერპლნი გენდერისა და შეზღუდული შესაძლებლობის საფუძვლით. მაგალითად, მათ ხშირად იძულებით უკეთებენ სტერილიზაციას და უარს ეუბნებიან რეპროდუქციული ჯანმრთელობის კონტროლსა და ამ საკითხთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაზე, ვინაიდან მიიჩნევა, რომ მათ არ აქვთ ინტიმურ ურთიერთობაზე თანხმობის მიცემის უნარი. ზოგიერთ იურისდიქციაში ქალების მიმართ უფრო ხშირად გამოიყენება სისტემა, როდესაც გადაწყვეტილებას იღებს მესამე პირი. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, შშმ ქალებს ქმედუნარიანობა ჰქონდეთ სხვათა თანასწორად.

მუხლი 7: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები

36. მართალია, კონვენციის მე-12 მუხლი ითვალისწინებს ნებისმიერი პირის თანასწორობას კანონის წინაშე (ასაკის მიუხედავად), თუმცა კონვენციის მე-7 მუხლი აღიარებს განვითარების შესაძლებლობას ბავშვებისთვის და მოითხოვს, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქმედებაში, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულ იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესები (პუნქტი 1)“, ასევე, მათი მოსაზრებები, ასაკისა და მოწიფულობის მიხედვით (პუნქტი 3). მე-12 მუხლის მოთხოვნათა შესასრულებლად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გადახედონ ეროვნულ კანონმდებლობას და შშმ ბავშვების ნებასა და არჩევანს პატივი სცენ სხვა ბავშვების თანასწორად.

მუხლი 9: მისაწვდომობა

37. მე-12 მუხლში ჩამოყალიბებული უფლებები მჭიდროდ უკავშირდება სახელმწიფოს ვალდებულებებს მისაწვდომობასთან მიმართებით (მუხლი 9), ვინაიდან სამართლის სუბიექტად თანასწორი აღიარება აუცილებელია შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოების ყველა სფეროში მონაწილეობისათვის. მე-9 მუხლის მიხედვით, უნდა აღმოიფხვრას ბარიერები საზოგადოებისთვის ღია (ან მათზე ორიენტირებული) შენობებისა და სერვისების მისაწვდომობის მხრივ. ინფორმაციაზე, კომუნიკაციასა და სერვისებზე მიუწვდომლობა შეიძლება აბრკოლებდეს შშმ პირის მიერ ქმედუნარიანობით სარგებლობას. შესაბამისად, ქმედუნარიანობასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა, ინფორმაცია და კომუნიკაცია უნდა იყოს სრულად მისაწვდომი. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გადახედონ ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკას, რათა ქმედუნარიანობისა და მისაწვდომობის უფლებები ბოლომდე იყოს დაცული.

მუხლი 13: მართლმსაჯულების მისაწვდომობა

38. მონაწილე სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება, რომ შშმ პირებს მართლმსაჯულებაზე წვდომა ჰქონდეთ სხვა პირთა თანასწორად. ქმედუნარიანობის აღიარება უმნიშვნელოვანესია მართლმსაჯულების მისაწვდომობისათვის. შშმ პირებმა უნდა შეძლონ თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელება სხვების თანასწორად, რისთვისაც უნდა იყვნენ სამართლის სუბიექტები და შეეძლოთ სასამართლოსა და ტრიბუნალის წინაშე წარდგომა. მონაწილე სახელმწიფოებმა სხვათა თანასწორად უნდა უზრუნველყონ შშმ პირთა წვდომა ადვოკატზეც, რაც პრობლემაა ბევრ იურისდიქციაში და მოგვარებას მოითხოვს; შშმ პირებს უნდა შეეძლოთ მათ ქმედუნარიანობაში ჩარევის გასაჩივრება და სასამართლოში უფლებების დაცვა პირადად ან ადვოკატის დახმარებით. ხშირად შშმ პირებს არ აქვთ შესაძლებლობა, მართლმსაჯულების სისტემაში მონაწილეობდნენ ადვოკატის, მოსამართლის, მოწმის ან ნაფიცი მსაჯულის როლში.

39. საჭიროა პოლიციის ოფიცრების, სოციალური მუშაკებისა და მომსახურე პირების ტრენინგი, რათა იცოდნენ, რომ აუცილებელია შშმ პირთა აღიარება სამართლის სუბიექტად; შესაბამისად, მათ საჩივრებსა და განცხადებებს მიანიჭონ ისეთივე მნიშვნელობა, როგორიც სხვა პირებისას. ეს გულისხმობს მნიშვნელოვანი პროფესიის წარმომადგენელთა გადამზადებასა და ცნობიერების ამაღლებას. შშმ პირებს უნდა შეეძლოთ ჩვენების მიცემაც, სხვა პირთა თანასწორად. კონვენციის მე-12 მუხლი ითვალისწინებს მხარდაჭერას ქმედუნარიანობით სარგებლობაში, მათ შორის, სასამართლო, ადმინისტრაციული და სხვა სამართალწარმოებისას. ასეთი მხარდაჭერა შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმის: მაგალითად, ჩაწერილი ჩვენების გამოყენება ზოგ შემთხვევაში; პროცედურული ცვლილებები; პროფესიონალი სურდოთარჯიმნის მომსახურება და სხვა მეთოდები. აუცილებელია მოსამართლეთა გადამზადებაც შშმ პირთა სამართალსუბიექტობის საკითხებზე, ქმედუნარიანობის ჩათვლით.

მუხლები 14 და 25: პიროვნების თავისუფლება, უსაფრთხოება და თანხმობა

40. შშმ პირის სამართლის სუბიექტად აღიარება სხვათა თანასწორად გულისხმობს მათი თავისუფლებისა და უსაფრთხოების პატივისცემასაც. აქტუალური პრობლემაა შშმ პირთა ქმედუნარიანობის შეზღუდვა და ინსტიტუციებში დაკავება მათი ნების საწინააღმდეგოდ, მათი თანხმობის გარეშე ან მესამე პირის გადაწყვეტილებით. ეს პრაქტიკა გულისხმობს თავისუფლების თვითნებურ შეზღუდვას და არღვევს კონვენციის მე-12 და მე-14 მუხლებს. მონაწილე სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ მისგან და შექმნან მექანიზმი ისეთი სიტუაციების გადასახედად, როდესაც შშმ პირს დაწესებულებაში ათავსებენ მკაფიო და გასაგებად გამოხატული თანხმობის გარეშე.

41. ჯანმრთელობის უმაღლესი ხელმისაწვდომი სტანდარტებით სარგებლობა (მუხლი 25) გულისხმობს, რომ ჯანმრთელობის დაცვა უნდა ეფუძნებოდეს პირის თავისუფალ და ინფორმირებულ თანხმობას. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა დაავალდებულონ ჯანდაცვისა და სამედიცინო სფეროს ყველა პროფესიონალი (მათ შორის, ფსიქიატრები), რომ მკურნალობის დაწყებამდე მოიპოვონ შშმ პირის

თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობა. სხვათა თანასწორი ქმედუნარიანობის უზრუნველყოფასთან ერთად, მონაწილე სახელმწიფოებს ევალებათ, არ დაუშვან, რომ შშმ პირის სახელით თანხმობა წარადგინონ მესამე პირებმა, რომლებიც მათ ნაცვლად იღებენ გადაწყვეტილებას. ჯანდაცვისა და სამედიცინო სფეროს ყველა თანამშრომელმა კონსულტაცია უნდა გაიაროს უშუალოდ შშმ პირთან და იზრუნოს იმაზე, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში შშმ პირის ნება არ ჩაანაცვლოს (ან მასზე გავლენა არ მოახდინოს) ასისტენტმა ან მხარდამჭერმა პირმა.

მუხლები 15, 16 და 17: პიროვნების ხელშეუხებლობა და წამების, ძალადობის, ექსპლუატაციისა და შეურაცხყოფისგან დაცვა

42. კომიტეტმა რამდენიმე დასკვნით მოსაზრებაში აღნიშნა, რომ პირის ნების საწინააღმდეგოდ, მისი თანხმობის გარეშე მკურნალობა ფსიქიატრების ან სხვა სამედიცინო სპეციალისტების მხრიდან არღვევს ისეთ უფლებებს, როგორიცა: სამართლის სუბიექტად პირის აღიარება და პიროვნების ხელშეუხებლობა (მუხლი 17); წამებისგან (მუხლი 15), ასევე, ძალადობის, ექსპლუატაციისა და შეურაცხყოფისგან დაცვა (მუხლი 16). ასეთი პრაქტიკა პირს უზღუდავს ქმედუნარიანობას, რომ აირჩიოს სამედიცინო მკურნალობის ფორმა და, შესაბამისად, არღვევს კონვენციის მე-12 მუხლს. მონაწილე სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ შშმ პირის უფლებას, ყოველთვის თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება, კრიზისულ სიტუაციაშიც კი; შშმ პირებისთვის ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს სრულყოფილი ინფორმაცია მომსახურების ფორმებზე, მათ შორის, მკურნალობის არასამედიცინო მიდგომებზე დაფუძნებული სერვისების შესახებ. საჭიროა წვდომა დამოუკიდებელი მხარდაჭერის სისტემაზეც. მონაწილე სახელმწიფოებმა ის უნდა უზრუნველყონ ფსიქიატრიულ და სამედიცინო მკურნალობაზე გადაწყვეტილების მიღებისას. პირის ნების საწინააღმდეგოდ, იძულებით მკურნალობა განსაკუთრებული პრობლემაა ფსიქოსოციალური, ინტელექტუალური და კოგნიტიური შეზღუდვის მქონე პირებისთვის. სახელმწიფოებმა უნდა გააუქმონ პოლიტიკა და საკანონმდებლო დებულებები, რომლებიც ითვალისწინებს ასეთ მკურნალობას, ვინაიდან მისი დაშვება ყველაზე გავრცელებული დარღვევაა მრავალი ქვეყნის ფსიქიკური ჯანმრთელობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში. არსებობს ემპირიული მტკიცებულებაც, რომ პირის ნების საწინააღმდეგოდ, იძულებით მკურნალობა არ არის ეფექტიანი. პირები იხსენებენ, რომ ამგვარი მკურნალობა ძლიერ ტკივილსა და ტრავმას იწვევდა მათში. კომიტეტის აზრით, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პირის ფიზიკურ და ფსიქიკური ხელშეუხებლობაზე გადაწყვეტილებები მიიღებოდეს მხოლოდ ამ პირის თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობით.

მუხლი 18: მოქალაქეობა

43. შშმ პირებს აქვთ სახელისა და დაბადების რეგისტრაციის უფლება, რაც სამართლის სუბიექტად აღიარების ნაწილია (მუხლი 18, პუნქტი 2). მონაწილე სახელმწიფოებმა შშმ ბავშვები უნდა დაარეგისტრირონ დაბადებისას. ეს უფლება გათვალისწინებულია ბავშვის უფლებების კონვენციით (მუხლი 7); თუმცა დაურეგისტრირებელი შშმ ბავშვების რაოდენობა არაპროპორციულად მაღალია

სხვა ბავშვებთან შედარებით. შედეგად, მათ არ აქვთ არა მარტო მოქალაქეობა, არამედ შეზღუდული აქვთ წვდომაც განათლებასა და ჯანდაცვაზე, რასაც შეიძლება შშმ პირის გარდაცვალება მოჰყვეს. და რაკი არ არსებობს პირის დაბადების დამადასტურებელი ოფიციალური ჩანაწერი, მისი სიკვდილის გამოწვევა შეიძლება დაუსჯელი დარჩეს.

მუხლი 19: დამოუკიდებელი ცხოვრება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა

44. მე-12 მუხლით გათვალისწინებული უფლებების სრულად განსახორციელებლად, სავალდებულოა, შშმ პირებს შეეძლოთ საკუთარი ნებისა და არჩევანის გამოხატვა და განვითარება, რათა ქმედუნარიანობით ისარგებლონ სხვათა თანასწორად. ეს ნიშნავს, რომ მათ სხვების თანასწორად უნდა შეეძლოთ საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრება, არჩევანის გაკეთება და თავიანთი ყოველდღიური ცხოვრების კონტროლი (მუხლი 19).

45. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების გათვალისწინებით (მუხლი 19), მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის განმარტება გულისხმობს, რომ ქმედუნარიანობით სარგებლობაში მხარდაჭერა უნდა მოიცავდეს საზოგადოებაზე დაფუძნებულ მიდგომასაც. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ, რომ საზოგადოება დამხმარე ძალაა და ამიტომ საჭიროა მისი ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა შესაძლებლობაზე. სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ, რომ სოციალური კავშირები და საზოგადოების ბუნებრივი მხარდაჭერა (მეგობრების, ოჯახისა და სკოლის ჩათვლით) შშმ პირთა დახმარების ძირითადი მექანიზმია გადაწყვეტილების მიღებისას. ეს შეესაბამება კონვენციის დებულებებს, რომლებიც შეეხება შშმ პირთა სრულ ჩართულობასა და მონაწილეობას საზოგადოებაში.

46. შშმ პირთა საზოგადოებისგან განცალკევება და დაწესებულებებში მათი იზოლირება კვლავ რჩება გავრცელებულ და საშიშ პრაქტიკად, რომელიც არღვევს კონვენციით გათვალისწინებულ არაერთ უფლებას. პრობლემას ამწვავებს მათი ქმედუნარიანობის შეზღუდვის ფართოდ დამკვიდრებაც, რაც საშუალებას აძლევს სხვა პირებს, თანხმობა განაცხადონ შშმ პირთა განთავსებაზე დაწესებულებაში. ასეთ დაწესებულებათა დირექტორებსა და ადმინისტრაციას ხშირად გადაეცემათ იქ მცხოვრები შშმ პირების ქმედუნარიანობა და, შესაბამისად, ძალაუფლება და კონტროლიც მათზე. კონვენციის დებულებების შესასრულებლად და შშმ პირთა უფლებების დასაცავად, საჭიროა დეინსტიტუციონალიზაცია და ქმედუნარიანობის აღდგენა ყველა შშმ პირისთვის, რომლებსაც უნდა შეეძლოთ არჩევა, სად და ვისთან სურთ ცხოვრება (მუხლი 19). პირის ასეთმა არჩევანმა არ უნდა შეზღუდოს ქმედუნარიანობით სარგებლობისას მხარდაჭერის მიღების უფლება.

მუხლი 22: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

47. შშმ პირის ნაცვლად გადაწყვეტილების მიღების სისტემა ეწინააღმდეგება კონვენციის მე-12 მუხლს, ასევე, არღვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, ვინაიდან გადაწყვეტილების მიმღებ მესამე პირებს აქვთ წვდომა შშმ

პირის პერსონალურ და ბევრ სხვა ინფორმაციაზე. როდესაც სახელმწიფოები ქმნიან მხარდაჭერის სისტემას შშმ პირის მიერ გადაწყვეტილების მიღებისათვის, უნდა უზრუნველყონ, რომ მხარდამჭერმა პირებმა სათანადოდ დაიცვან შშმ პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

მუხლი 29: პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა

48. ქმედუნარიანობის ჩამორთმევა ან შეზღუდვა გამოიყენებოდა გარკვეული კატეგორიის შშმ პირებისთვის პოლიტიკური მონაწილეობის, განსაკუთრებით, ხმის მიცემის უფლების შესაზღუდად. ცხოვრების ყველა სფეროში ქმედუნარიანობის სრულად განსახორციელებლად, მნიშვნელოვანია შშმ პირთა სამართლის სუბიექტად აღიარება საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებასთან მიმართებით (მუხლი 29). ეს ნიშნავს, რომ შშმ პირის გადაწყვეტილების მიღების უნარი არ შეიძლება გამოიყენებოდეს საფუძვლად პოლიტიკური უფლებების, მათ შორის, ხმის მიცემის, არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობისა და ნაფიც მსაჯულად საქმიანობის შესაზღუდად.

49. მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ, დაიცვან და ხელი შეუწყონ შშმ პირთა უფლებას, დისკრიმინაციის გარეშე მონაწილეობდნენ ფარულ კენჭისყრაში, ნებისმიერ არჩევნებსა და რეფერენდუმში. კომიტეტი ასევე იძლევა რეკომენდაციას, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა ქმედუნარიანობის განხორციელების ფორმად უზრუნველყონ შშმ პირთა შემდეგი უფლებები: არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობა, თანამდებობის დაკავება და მთავრობის ყველა დონეზე საჯარო ფუნქციის შესრულება.

V. იმპლემენტაცია ეროვნულ დონეზე

50. ზემოაღნიშნული ნორმატიული შინაარსისა და ვალდებულებების გათვალისწინებით, მონაწილე სახელმწიფოებმა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-12 მუხლის განსახორციელებლად, უნდა გადადგან შემდეგი ნაბიჯები:

(a) კანონით აღიარონ სამართლის სუბიექტად შშმ პირები, რომელთაც მინიჭებული აქვთ ქმედუნარიანობა ცხოვრების ყველა ასპექტში და სხვა პირთა თანასწორად. ეს გულისხმობს, რომ უნდა გაუქმდეს: სისტემა, რომელიც ითვალისწინებს მესამე პირის მიერ გადაწყვეტილების მიღებას შშმ პირის ნაცვლად (ანუ პირის ნების ჩანაცვლებას); ასევე, მექანიზმები, რომლებიც ზღუდავს ქმედუნარიანობას და პირდაპირ ან ირიბად დისკრიმინაციულია შშმ პირთა მიმართ. რეკომენდებულია, მონაწილე სახელმწიფოებმა კანონით განსაზღვრონ შშმ პირთა ქმედუნარიანობა სხვების თანასწორად;

(b) შექმნან, აღიარონ და შშმ პირებს მიაწოდონ მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმა ქმედუნარიანობის განხორციელებისათვის. ეს გარანტიები უნდა ეფუძნებოდეს შშმ პირთა უფლებებს, ნებასა და არჩევანს. მხარდაჭერა უნდა შეესაბამებოდეს 29-ე პუნქტში ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს სახელმწიფოთა მიერ ვალდებულებების შესრულების შესახებ, რომლებიც განსაზღვრულია კონვენციის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით.

(c) მე-12 მუხლის პრაქტიკაში დასანერგად, კანონმდებლობის, პოლიტიკისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აქტიურად უნდა

ჩაერთონ შშმ პირები, მათ შორის, შშმ ბავშვები, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების საშუალებით.

51. გამოყონ რესურსები ან ჩაატარონ კვლევები, შექმნან საუკეთესო პრაქტიკა შშმ პირთა ქმედუნარიანობის აღიარების მხრივ და დაეხმარონ მათ ამ უფლების განხორციელებაში.

52. შექმნან ეფექტიანი მექანიზმები, რათა თავიდან აიცილონ მესამე პირების მიერ გადაწყვეტილების მიღება (ფორმალურად ან არაფორმალურად) შშმ პირთა ნაცვლად. ამ მიზნით, კომიტეტი მონაწილე სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ შშმ პირებს ჰქონდეთ შინაარსობრივი გადაწყვეტილების მიღებისა და პიროვნული განვითარების შესაძლებლობა და მხარი დაუჭირონ მათ ქმედუნარიანობით სარგებლობისას. ეს მოიცავს, *inter alia*, ისეთ შესაძლებლობებსაც, როგორიცაა: სოციალური კავშირების დამყარება; მუშაობა და შემოსავლის მიღება სხვების თანასწორად; საზოგადოებაში საცხოვრებელი ადგილის სხვადასხვა არჩევანი; განათლების ყველა საფეხურზე მონაწილეობა.